1 ნოემბერი

 პარასკევი
2024

ყველაწმიდას დიდდღესასწაული, [ს], თ

გამოცხ 7,2–4.9–14; ფს 23; 1იო 3,1–3; მთ 5,1–12

სსნა ეკუთვნის ჩვენს ღმერთსა და კრავს გამოცხ 7,10

ეს „ურიცხვი ხალხის“ მხიარული შეძახილია, რასაც ჩვენი ხმებიც უერთდება. ჩვენ გამოხსნილნი ვართ ჩვენი ღმერთისა და მამის წყალობით, და კრავის წყალობით. გამოხსნილნი ვართ ბოროტებისა და მათგან, ვინც ბოროტებას სჩადის; გამოხსნილნი ვართ მათი თანამზრახველობიდან; გამოხსნილნი ვართ ცოდვიდან, რამაც ჩვენი ცხოვრება დააზიანა.

მთელი ხმით ვუგალობებთ დღეს ჩვენს სიხარულს, წმინდანების ურიცხვ სიმრავლესთან ერთად!

2 ნოემბერი

შაბათი
2024

მოხსენიება ყველა მორწმუნე მიცვალებულისა, [ს], ი

წირვა 1: იობ 19,1.23-27; ფს 26; რომ 5,5-11; იო 6,37-40
წირვა 2: ეს 25,6.7-9; ფს 24; რომ 8,14-23; მთ 25,31-46
წირვა 3: სიბრძ 3,1-9; ფს 41; გამოცხ 21,1-5.6-7; მთ 5,1-12

მე აღვადგენ მას უკანასკნელ დღეს

იო 6,40

რა ბედი ეწევა ჩვენს გარდაცვლილ ახლობლებს და რა მოგველის ჩვენ, როცა დადგება „ის დღე“? არ უნდა ვდარდობდეთ, რამეთუ უფალს ვეკუთვნით. იგი ჩვენთვის ძნელად გასააზრებელი სიტყვებით გვპასუხობს: რას ნიშნავს „აღდგომა“ და „ბოლო ჟამი“? არ ვიცით, მაგრამ ეს სიტყვები იმედს, ნდობას და სიმშვიდის შეგრძნებებს გვგვრიან.

3 ნოემბერი

კვირა 2024

რიგითი XXXI კვირადღე, «ბ», [III], მწ

[საქართველოში მოღვაწე ყველა გარდაცვლილ კათოლიკე სასულიერო პირთა ძრხსენიების დღე (მ), ი წმ. მარტინ პორესელი, დომინიკელი ბერი, +1639 ლიმაში]

რჯლ 6,2-6; ფს 17; ებრ 7,23-28; მარ 12,28-34

(ან, მიცვალებულთა წირვის სხვა საკითხავები)

მ. სერაფიმ მერაბიშვილის (+1940), მ. შიო ბათმანიშვილის (+1937), მ. ლაზარე გოზალიშვილის (+1937?), მ. სტანისლავ კაჭკაჭაშვილისა (+1937) და მ. კონსტანტინე შეშაბერიძის გახსენება

პირველია: ისმინე, ისრაელ! მარ 12,29

იესო, პასუხი გაეცი მწიგნობრის კითხვას, თუ რომელს მისცეს უპირატესობა მრავალ მცნებათა შორის. შენ იცი, რომ შენს მსმენელს, უკვე უყვარს, რამეთუ მოსმენა სიყვარულისკენ გადადგმული პირველი ნაბიჯია. ღვთის ყველა მცნებას მოუსმენს, მაგრამ სიყვარულით დაიცავს მის მცნებებს, ვინც ისევ მას უსმენს, ვინც ლაპარაკობს ანუ ღმერთს, ვინც სიყვარულია.

4 ნოემბერი

ორშაბათი
2024

რიგითი ჟამის XXXI კვირა [III]

წმ. კარლო ბორომეო, კარდინალი, მილანის ეპისკოპოსი, +1584, (მ), თ

ფილიპ 2,1-4; ფს 130; ლკ 14,12-14

მოექცევა მართალთა აღდგომისას ლკ 14,14

რომელია ეს საზღაური? ის, რომელსაც შენი უანგარო და ხალასი სიყვარულის გამო მიიღებ. თუკი უსასყიდლოდ გასცემ სიყვარულს, სრულად აცხადებს ღმერთის ვინაობას, სხვებსაც შეაცნობ მას და ღმერთი შენი მადლიერია.

5 ნოემბერი

სამშაბათი
2024

რიგითი ჟამის XXXI კვირა [III], მწ

ფილიპ 2,5-11; ფს 21; ლკ 14,15-24

მოლით, მზადაა ლკ 14,17

ამ იგავს იესო მას მოუთხრობს, ვინც ასე შესძახა: „ნეტარია, ვინც ჭამს პურს ღმრთის სასუფეველში!“. ჭეშმარიტად ნეტარია, ვინც იღებს მოწვევას და არ ეძებს თავის არიდების მიზეზს. ისინი არ დაელოდებიან მოწვევას, რამეთუ უწყიან თავიანთი უბადრუკი და ცოდვილი ყოფა. სწორედ ისინი შეავსებენ წვეულების დარბაზს.

6 ნოემბერი

ოთხშაბათი:
2024

რიგითი ჟამის XXXI კვირა [III], მწ

ფილიპ 2,12-18; ფს 26; ლკ 14,25-33

დიდძალი ხალხი დაჰყოლებოდა იესოს ლკ 14,25

მათ ესმოდათ, რომ მისი სიტყვები
ღვთაებრივი სიბრძნეს ღაღადებდნენ:
ვერ მიატოვებდნენ მას.
ხოლო მას სურდა დახმარებოდა მათ
ზრახვების განწმენდით.
რატომ ვარ იესოს მიმდევარი? მისგან რამე
ისეთს ველოდები, რაც კმაყოფილებას
მომგვრის თუ მწადია თავი მივუძღვნა
და მისი ჩანაფიქრის განხორციელებაში
ვითანამშრომლო?

7 ნოემბერი

ხუთშაბათი
2024

რიგითი ჟამის XXXI კვირა [III], მწ

ფილიპ 3,3-8; ფს 104; ლკ 15,1-10

ეაიხარეთ ჩემთან ერთად ლკ 15,6

“..ვინაიდან, ჩემი დაკარგული ცხვარი ვიპოვე”. იესოს ყოველმხრივ ცდილობს, რომ შევიცნოთ ღმერთის ნამდვილი სახე. ამ ცოდნაზეა დამოკიდებული სხვებთან ჩვენი ქცევები. ღმერთის სახის პირველი შუქი - გულმოწყალებაა. არ უნდა გვიკვირდეს, რამეთუ ჩვენც ვხარობთ მწყემსთან ერთად, რომელიც ცხვარს შინ აბრუნებს და იმ დედაკაცთან ერთად, ვინც თავის ძვირფას მონეტას პოულობს.

8 ნოემბერი

პარასკევი
2024

რიგითი ჟამის XXXI კვირა [III]

საქართველოს კათოლიკე ეკლესიის ყველა წმიდანი, (მ), თ

ფილიპ 3,17 - 4,1; ფს 121; ლკ 16,1-8

ჩვენი მოქალაქეობა ზეცაშია ფილიპ 3,20

ფილიპელმა ქრისტიანებმა უკვე იციან, რომ მზად აქვთ პირადობის მოწმობა, განსაცვიფრებელი „ეროვნებით“, თანაც უვადოდ. იქიდან, ჩვენამდეც მოაღწევს, რათა გამოგვიხსნას ვნებათა ბატონობიდან და გვამსგავსოს მას - მეფეს, უფალ იესო ქრისტეს. სიხარული მოჰფენია ჩვენს სახეს.

9 ნოემბერი

შაბათი
2024

რომის საკათედრო ტაძრის,
ლატერანის ბაზილიკის კურთხევა, დ, [ს], თ

ეზეკ 47,1-2.8-9.12, ან, 1კორ 3,9გ-11.16-17; ფს 45; იო 2,13-22

დაანგრიეთ ეს ტაძარი
და სამ დღეში აღვადგენ მას იო 2,19

ვერ აღდგება ქვის ტაძარი, მისი ხელახლა აგებაა შესაძლებელი. ტაძარი - ღმერთის სამყოფი ალაგი, იესოს სხეულია. აღდგება მას შემდეგ, რაც დაანგრევენ. შევიყვაროთ ეს ტაძარი, შევიდეთ მასში და იქ დავმკვიდ-რდეთ!

10 ნოემბერი

 კვირა 2024

რიგითი XXXII კვირადღე, «ბ», [IV], მწ

[წმ. ლეონ დიდი, პაპი, ეკლესიის მოძღვარი, +461, (მ), თ *(28.X) წმ. მღვდელმოწამე ნეოფიტე ურბნელი, VIIს.*]

3მეფ 17,10-16; ფს 145; ებრ 9,24-28; მარ 12,38-44

საკანძურში სხვებზე მეტი ჩადო

მარ 12,44

იესო გვირჩევს ახალი თვალებით ვუმზიროთ ყველაფერს, დავაკვირდეთ მას, რაც ადამიანის გულში ხდება. ღატაკი ქვრივის გულში რაც ხდება, ის არ ხდება მდიდრის გულში. ღატაკი თავისი ქცევით აჩვენებს რწმენას, რწმენის თვალით აღიქვამს ღმერთს მამად. მდიდრების ქცევა, ოქროს მონეტებს რომ ყრიან, ღმერთს ვერ შეგვაცნობს, ის მხოლოდ მათ ყალბ და უნაყოფო სულგრძელობაზე მიგვანიშნებს.

11 ნოემბერი

ორშაბათი
2024

რიგითი ჟამის XXXII კვირა [IV]

წმ. მარტინ, ტურსის ეპისკოპოსი, +397, (მ), თ
(29.X) წმ. ღირსი სერაპიონ ზარზმელი, აბატი, +900

ტიტ 1,1-9; ფს 23; ლკ 17,1-6

აჯობებს ზღვაში ეყაროდეს, ვიდრე ერთი მცირეთაგანი დაბრკოლოს ლკ 17,2

იესო მკვლელობისკენ კი არ აქეზებს ხალხს, არამედ მოუწოდებს, რომ სერიოზულად დაფიქრდნენ თავიანთი ქცევის შედეგებზე. თუკი ჩვენი ქცევით ან ჩვენი ლაპარაკით ვინმეს არასწორ წარმოდგენას შევუქმნით ღმერთზე ან იესოზე დამათ რწმენას შევაფერხებთ, ღირსი ვიქნებით ჯოჯოხეთისა: ძალადობრივი სიკვდილით ჯობია რომ დავიღუპოთ. ამიტომაც, გავფრთხილდეთ, დავუკვირდეთ ჩვენს ქცევებს და ჩვენს სიტყვებს.

12 ნოემბერი

სამშაბათი
2024

რიგითი ჟამის XXXII კვირა [IV]

წმ. იოსაფატი, პოლოცკის ეპისკოპოსი, წამებული, +1623 ვიტებსკში, (მ), წ

ტიტ 2,1-8.11-14; ფს 36; ლკ 17,7-10

უბრალო მსახურნი ვართ ლკ 17,10

არც ერთი მსახური არაა უსარგებლო, პირი-ქით! ნამდვილი მსახური მუდამ სხვის მსახु-რად მიიჩნევს თავს და არასოდეს შეეცდება სხვაზე გაბატონებას, თვით საკუთარ თავზეც. აქ ვარ, იესო: შენი დედის მსგავსად, მეც მსუ-რს ყოველთვის შენს განკარგულებაში ვიყო, რათა შენი ხალისიანი და მზრუნველი სიყვა-რული ვუძღვნა მოყვასებს.

13 ნოემბერი

ოთხშაბათი:
2024

რიგითი ჟამის XXXII კვირა [IV], მწ

წშ. 100.000 წამებული, +1227

ტიტ 3,1–7; ფს 22; ლკ 17,11–19

ერთი მათგანი დაბრუნდა და აადიდებდა ღმერთს ლკ 17,15

ერთ-ერთი იყო იმ ათიდან, რომლებმაც თხოვნა-ვედრებით შესძახეს იესოს. როდე-საც საკუთარი სხეულის განკურნება იხილა, დაშორდა დანარჩენ ცხრას, ისინი გაუშვა და თავად დაბრუნდა. მიხვდა, რომ იესო გაცილებით უფრო მეტია, ვიდრე მკურნალი, როგორც აქამდე ფიქრობდა! ის არის, ვისაც შეგიძლია მთელი შენი ცხოვრება მიანდო და წინამძღოლად დაიყენო.

14 ნოემბერი

ხუთშაბათი
2024

რიგითი ჟამის XXXII კვირა [IV], მწ

ფილიმ 7-20; ფს 145; ლკ 17,20-25

ღვთის სასუფეველი თქვენს შორისაა ლკ 17,21

ღვთის სასუფეველი არაა რომელიმე ერთი ადგილი, ამიტომაც არა აქვს საზღვრები. ეს ახალი ცხოვრებაა. უფალი იესო იმ ადამიანთა პირად და საჯარო ცხოვრებაში სუფევს, ვინც მისი მიმდევარია. უფალი იქ მეფობს, სადაც ადამიანურ ურთიერთობებში მისი სიტყვას ხორცი ესხმება.

15 ნოემბერი

პარასკევი
2024

რიგითი ჟამის XXXII კვირა [IV], მწ

წმ. ალბერტ დიდი, რეგენსბურგის ეპისკოპოსი, დომინიკელი, ეკლესიის მოძღვარი, +1280 კიოლნში

2იო 1.3-9; ფს 118; ლკ 17,26-37

ასე იქნება კაცის ძის დღეებში ლკ 17,26

იესო, თავისი ცხოვრების პერიოდს, ნოეს ჟამს ადარებს: ამჩნევს, რომ ადამიანები ისევ ისე იქცევიან. არც მაშინ უგდებდნენ ყურს ღვთის მორჩილი და მართალი ნოეს ნათქვამს. დღეს კი არად აგდებენ იესოს სიტყვებს და მონანიებისკენ მის მოწოდებას. მაშინ წარღვნა მოხდა და დღეს...?

16 ნოემბერი

16 შაბათი 2024

რიგითი ჟამის XXXII კვირა [IV], მწ

სნეულთა მფარველი ღმრთისმშობელი;
წმ. მარგარიტა შოტლანდიელი, +1093 ედინბურგში;
წმ. გერტრუდა, ქალწული, მონაზონი, +1302 ჰელფტაში (გერმანია)

3იო 5-8; ფს 111; ლკ 18,1-8

კაცის ძე, როცა მოვა,
პოვებს კი რწმენას მიწაზე? ლკ 18,8

იესოს სიყვარული მოაქვს, მაგრამ რწმენას ეძებს. რატომ? წმინდა სიყვარული არაა ადამიანის კეთილი გულის სიყვარულია. იგი რწმენის ფესვებით ნასაზრდოები ხის ნაყოფია. ამიტომაც, თითოეულმა ჩვენგანმა იესოს უნდა უპასუხოს და უთხრას: როცა მოხვალ, აქ ვიქნები, შენი მორწმუნე. რწმენის ანთებული ლამპრით შემოგებებები. მოდი, უფალო იესო!

17 ნოემბერი

კვირა 2024

რიგითი XXXIII კვირადღე, «ბ», [I], მწ

[წმ. ელისაბედ უნგრელი, თიურინგიის ჰერცოგინია, მონაზონი, +1231 მარბურგში(გერმანია), (მ), თ
(4.XI) წმ. იოანე, სტეფანე და ესაია, მონაზონნი, ქრისტეს საფლავის მოღვაწენი]

დან 12,1-3; ფს 15; ებრ 10,11-14.18; მარ 13,24-32

უპოვართა მსოფლიო დღე

წმ. ელისაბედის დების დღესასწაული

იესო-დეთ, იეი ახლოსაა, კართან დგას მარ 13,29

იესო მძიმე ჟამისთვის ამზადებს მოწაფეებს. როდესაც წინასწარმეტყველებს უსმენდა, განჭვრეტდა წმინდა ქალაქის - იერუსალიმის განადგურებას. ამავდროულად, აცხადებს, რომ თუკი წუთისოფელს ლოცვა და ღვთა-ებრივი სიყვარული მოაკლდება, ადამიანებს ტანჯვა და სიკვდილი მოელის. ამ ვითარებაში სწორედ მას უნდა მივაპყროთ მზერა, რომე-ლიც ჩვენს გამოსახსნელად მოდის.

18 ნოემბერი

ორშაბათი
2024

რიგითი ჟამის XXXIII კვირა [I], მწ

წმიდანთა პეტრე და პავლე მოციქულთა ბაზილიკათა კურთხევა

გამოცხ 1,1-4; 2,1-5; ფს 1; ლკ 18,35-43

შენმა რწმენამ გიხსნა შენ ლკ 18,42

ეს სიტყვები უთხრა იესომ ბრმას, რომელიც იერიხონის კარიბჭესთან სასოებით ეძახდა მას იმ ხალხის წინაშე, ვინც მის გაჩუმებას ცდილობდა. იესო შეყოვნდა: იცოდა, რომ ამ რწმენით ეს ადამიანი უკან გაყვებოდა, გადა-რჩენის გზაზე.

19 ნოემბერი

სამშაბათი
2024

გამოცხ 3,1-6.14-22; ფს 14; ლკ 19,1-10

ისისცა აბრაამის ძეა ლკ 19,9

ვისზე ამბობს იესო ამას? ზაქეზე, მთავარ მებაჟეზე, ქურდზე და ფულის ხარბზე. დღეს მან იესოს სიყვარული შეიგრძნო დადღეს შეუძლია თვითონაც უყვარდეს. ირწმუნა, რომ იესო ღმერთს ეკუთვნის და ამ რწმენიდან მოულოდნელი სიყვარული ხარობს. დღეიდან აბრაამის რწმენა ავსებს და მოსავს მას. დღეს ის გამოხსნილია.

20 ნოემბერი

ოთხშაბათი: 2024

რიგითი ჟამის XXXIII კვირა [I], მწ

გამოცხ 4,1-11; ფს 150; ლკ 19,11-28

ვისაც აქვს, მიეცემა ლკ 19,26

იესო ასრულებს იგავს მსახურებზე. ერთ-ერთი მათგანი ისე იქცეოდა, თითქოს არც კი ყოფილიყო თავისი ბატონის მსახური: ვალდებულად არ თვლიდა თავს მისთვის ემუშავა, ამიტომაც არ გახდა სასუფეველში შესვლის ღირსი. მასზე დაკისრებული მოვალეობა კი მის ხელში გადავიდა, ვინც ერთგულებით გასწევს სამსახურს.

21 ნოემბერი

ხუთშაბათი
2024

რიგითი ჟამის XXXIII კვირა [I]

ნეტ. ქალწ. მარიამის ტაძრად მიყვანა (მ), თ

გამოცხ 5,1-10; ფს 149; ლკ 19,41-44

დავითის ყლორტი ეახსნის წიგნს

გამოცხ 5,5

ჩვენთვის უცნაურ ენაზეა დაწერილი აპოკა-
ლიფსის ანუ გამოცხადების წიგნი. ამ ფორმი-
თაც სურს იესოს ჩვენთან საუბარი, როგორც
დევნის ჟამს საუბრობდა: შესაძლოა ისევ
დადგეს ეს ჟამი.
მხოლოდ „დავითის ყლორტს“, ანუ იესოს ძა-
ლუძს ღმერთის ნების გამომხატველი წიგნის
გადაშლა და წაკითხვა. ჩვენ მხოლოდ მის
ხმას დავუგდებთ ყურს და მარიამის მსგავსად
ვისაზრდოებთ მისი სიტყვებით.

22 ნოემბერი

პარასკევი
2024

რიგითი ჟამის XXXIII კვირა [I]

წმ. ცეცილია, ქალწული, წამებული რომში +~250, (მ), წ

გამოცხ 10,8-11; ფს 118; ლკ 19,45-48

მღვდელმთავრები ცდილობდნენ მის მოკვლას ლკ 19,47

იესო ტაძრის გალავანში შედის და ირგვლივ ყველაფერს აკვირდება. ეს მხოლოდ ლოცვის ადგილი უნდა იყოს, არადა სამსხვერლოდ მიტანილი ცხოველების ბაზრად ქცეულა. სახელდახელო ადგილად ქცეულა შორიდან ჩამოსული მომლოცველებისთვის, მაგრამ შთაბეჭდილება ექმნებათ, რომ ღმერთისთვის მთავარი ფულია: ეს ცრუ წარმოდგენაა ღმერთზე, თანაც მისივე ტაძარში!

23 ნოემბერი

შაბათი 2024

(10.XI) წმ. გიორგი წამებული, დ, [ს], წ

წმ. კლემენტ I, პაპი და წამებული, +≈97 რომში;
წმ. კოლუმბან, ლიუქსოილის აბატი (ზემო სონა) +615 ბობიოში (იტალია);
(10.XI) წმ. დიდმოწამე კონსტანტი-კახი, +852

1მაკ 2,15-29; ფს 49; ლკ 19,41-44

გიორგობა.
უდეში „პირდაპირების“ სამლოცველოს დღეობა

უფალი არის აბრაამის, ისაკისა
და იაკობის ღმერთი ლკ 20,37

იესო წმინდა წერილის წაკითხვაში გვეხმარება. როდესაც მოსემ შეუწველი მაყვლოვანის წინ, ღმერთს თავისი სახელი ჰკითხა, პასუხად მიიღო: „აბრაამის, ისაკის და იაკობის ღმერთი“. ღმერთი სიტყვით კი არ ავლენს თავის თავს, არამედ თავის მორჩილთა ცხოვრებით. დღეს ეს ნიშნავს, რომ ახალი თაობები მას ჩვენი ცხოვრებით შეიცნობენ, რომლებიც მისი სიტყვის თანახმად ვცხოვრობთ.

24 ნოემბერი

კვირა 2024

რიგითი XXXIV კვირადღე,
უფლისა ჩვენისა იესო ქრისტესი,
სამყაროს მეფისა, «ბ», დდ, [ს], თ

[წმმ. ანდრია დუნგ-ლაკი ხუცესი და მისი მეგობრები,
ვიეტნამში წამებულნი, 1625–1886წწ. (მ), წ]

დან 7,13-14; ფს 92; გამოცხ 1,5-8; იო 18,33-37

ლიტურგიული წელიწადის ბოლო კვირა
ახალშენის კათოლიკური ეკლესიის დღეობა

მე ვარ მეფე

იო 18,37

იესო პილატეს წინაშე დგას. პილატემ მას კონკრეტული შეკითხვა დაუსვა და იესოც იგივე სიტყვით პასუხობს. მაგრამ ამ სიტყვით - „მეფე“ , რას გულისხმობენ პილატე და იესო? გუბერნატორი სხვებზე ბატონობას გულისხმობდა, ხოლო იესო ღმერთის ნების მსახურებაზე, რათა ადამიანებს ერთმანეთისადმი სიყვარულში დახმარებოდა. დღეს ვხარობთ, რამეთუ მხოლოდ იესოს ვრაცხავთ „მეფის“ წოდებით და უფრო მეტიც, მხოლოდ მას ვემორჩილებით!

25 ნოემბერი

ორშაბათი
2024

რიგითი ჟამის XXXIV კვირა [II], მწ

წმ. ეკატერინე ალექსანდრიელი, ქალწული და წამებული, +III-IV სს

გამოცხ 14,1-3.4-5; ფს 23; ლკ 21,1-4

ესენი არიან ადამიანთაგან ამოსყიდულნი

გამოცხ 14,4

ისინი ასორმოცდაოთხიათასნი არიან, რომლებიც კრავს მიჰყვებიან და ტყუილში არ ცხოვრობენ. მათ არ შეხებიათ წუთისოფელში გაბატონებული კერპების სიავე. მათი ცხოვრება გამოსყიდულია დაცულია მათი შემოქმედის მშვენიერება. იესო გვკურნავს, გვანახლებს, სიცოცხლის სავსეობას გვძენს დაგვაძლევს მას, რაც ჩვენმა მშობლებმაც კი, მთელი თავიანთი სიყვარულით, ვერ შეძლეს მოეცათ.

26 ნოემბერი

სამშაბათი
2024

რიგითი ჟამის XXXIV კვირა [II], მწ

გამოცხ 14,14-19; ფს 95; ლკ 21,5-11

როდესა მოისმენთ ომებსა... ნუ დაფრთხებით ლკ 21,9

ლიტურგიკული წლის დასასრულს მივუახლოვდით. ამიტომაც, ამ დღეებში სახარების იმ ეპიზოდებს ვეცნობით, სადაც იესო ბოლოჟამზე საუბრობს. იგი გვარწმუნებს: წუთისოფლის აღსასრულმა არ უნდა შეგვაშინოს, რამეთუ არ ვეკუთვნით ამ წუთისოფელს. ეს არ არის ჩვენი საბოლოო ადგილი. უნებლიე შიშს ცვლის იმედი და მამის სიყვარულის ნდობა.

27 ნოემბერი

ოთხშაბათი: 2024

რიგითი ჟამის XXXIV კვირა [II], მწ

გამოცხ 15,1-4; ფს 97; ლკ 21,12-19

დიადი და საკვირველია შენი საქმენი, უფალო- გამოცხ 15,3

ასე უგალობებენ კრავს ისინი, ვინც ყოველივეზე მეტად, თვით საკუთარ თავზე მეტად შეიყვარეს იგი. ვინც დაძლია სიამოვნების ცდუნება და ბევრი მიმდევარი გაიჩინა. ჩვენც ვუგალობებთ იმ გალობას, რომელიც ასე გრძელდება: „მხოლოდ შენა ხარ წმინდა; ამიტომაც გეახლება ყველა ხალხი და თაყვანს გცემს შენ “.

28 ნოემბერი

ხუთშაბათი
2024

რიგითი ჟამის XXXIV კვირა [II], მწ

გამოცხ 18,1-2.21-23; 19,1-3.9; ფს 99; ლკ 21,20-28

ნეტარ არიან კრავის ქორწილზე წოდებულნი

გამოცხ 19,9

რომელია „კრავის საქორწინო სუფრა“? კარგად ვიცით: ეს ის სუფრაა, რომელზეც გვეძელვა სიყვარულის ძღვენი, რითაც კრავმა შესწირა თავისი ხორცი და სისხლი. ეს სუფრაა, სადაც ქრისტეს სხეულს - კურთხევის პურს ვჭამთ, რომელიც კვებავს ჩვენს სიწმინდეს და მის მარადისობას გვაზიარებს!

29 ნოემბერი

პარასკევი
2024

რიგითი ჟამის XXXIV კვირა [II], მწ

გამოცხ 20,1-4.11 – 21,2; ფს 83; ლკ 21,29-33

რემი სიტყვები არ ეცდება ლკ 21,33

ყველაფერი გადაივლის, ყველაფერი ამაოა. ჩვენ კი ვიცით, რომ ჩვენი არსებობა ამ მიწაზე არ ქრება, ჩვენ მამის გულში ვრჩებით. ამიტომაც, იმ საკვებით ვსაზრდოობთ, რაც რჩება და ეს არის სიტყვა, რომელიც იესომ მიიღო და გვიბოძა. ასე მიუგო უდაბნოში მაცდუნებელს: „კაცი ცოცხლობს...ღვთის პირიდან გამომავალი ყოველი სიტყვით“. ეს სიტყვა შეეწეოდა მას და ამ სიტყვას შეგვაგონებს ყოველდღიურად.

30 ნოემბერი

შაბათი
2024

წმ. ანდრია, მოციქული, დ, [ს], წ

(17.XI) წმმ. მიქაელ-გობრონი და 133 მხედარი, +914

რომ 10,9-18; ფს 18; მთ 4,18-22

ბეთლემის (ახალხიზა) კათოლიკური ეკლესიის დღეობა

მეისვე მიალტ-ვეს ნავი და ეაჰ̆ევენ მას მთ 4,22

ორივე ძმამ, ერთმანეთის დაუკითხავად, ერთი და იგივე ნაბიჯი გადადგა და უფრო მეტი სიძლიერით შეიგრძნეს თავიანთი ძმობა. ერთ მათგანია ანდრია, ზებედეს ძე. დღეს მადლს ვწირავთ მას, რამეთუ იმ წუთიდან მისი ცხოვრება ჩვენი რწმენის და წმიდანობის საყრდენად იქცა.